ოქმი:**ო02.37210971**
თარიღი:**07/04/2021**

ოქმი N 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2021 წელი, 5 აპრილი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00-საათი

თავმჯდომარეობდა: ლ.ბიგვავა-მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ბ.დოლიძე, ლ.მგელაძე, დ.ჭაკნელიძე, თ.ტუღუში, ტ.აროშიძე, გ.ჩაგანავა, გ.მდინარაძე, ლ.საჯაია, პ.კიღურაძე, გ.ჩავლეშვილი, ვლ.ჩავლეშვილი, ე.გორდელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ.

მომხს: ლ.ბიგვავა

თანამომხსენებელი: თ.მურვანიძე

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში მდებარე ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩისათვის სახელის გადარქმევისა და ნიკა ქარცივაძის სახელის მინიჭების თაობაზე საკრებულოს წევრ გ.მდინარაძის ინიციატივის შესახებ.

მომხს: ლ.ბიგვავა

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქ.ოზურგეთში თეატრის უკან მდებარე სკვერისთვის ან კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩის ნაწილისთვის არსენ კეჭაყმაძის სახელის მინიჭების თაობაზე საკრებულოს წევრ ლ.მგელაძის ინიციატივის შესახებ.

მომხს: ლ.ბიგვავა

4.. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუს ცენტრალური ერთ-ერთი უსახელო ქუჩისთვის ალექსანდრე ღლონტის სახელის მინიჭების თაობაზე საკრებულოს წევრ რ.სკამკოჩაიშვილის ინიციატივის თაობაზე.

მომხს: ლ.ბიგვავა

მომხსენებელმა ლ.ბიგვავამ კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ, ხოლო ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა თ.მურვანიძემ. კომისიის წევრმა გ.კილაძემ დასვა საკითხი სოფელ ოზურგეთში გზაჯვარედინზე სიჩქარის

შემზღუდველი ნიშნის , ხოლო სილაურში სკოლასთან ე.წ. „მწოლიარე პოლიციელის“ დაყენების თაობაზე, ამვე საკითხის გადაწყვეტა მოითხოვა სოფელ ნატანების ცენტრში კომისიის წევრმა თ.ტუღუშმა, კომისიის წევრმა მ.ხხიკვიშვილმა დასვა შეკითხვა-იგეგმება თუ არა ქ.ოზურგეთის ტერიტორიაზე შუქნიშნების დაყენება? საკითხებზე განმარტეს, რომ ფინანსების სიმცირის გამო ამ პრობლემების გადაწყვეტა შეჩერებულია. კომისიის წევრებმა ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში მდებარე ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩისათვის სახელის გადარქმევისა და ნიკა ქარცივაძის სახელის მინიჭების თაობაზე საკრებულოს წევრ გ.მდინარაძის ინიციატივა, აღნიშნა, რომ - საკითხზე ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა და აღმოჩნდა- მოსახლეობა მხარს არ უჭერს ამ ინიციატივას, მით უმეტეს, როცა ნიკა ქარცივაძის სახელი მინიჭებული აქვს პლაჟზე ცენტრალურ გასასვლელს. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს სხდომის თავმჯდომარის ლ.ბიგვავას წინადადებას-გათვალისწინებულ იქნას მოსახლეობის აზრი და საკრებულოს წევრის ინიციატივის განხილვა შეჩერდეს სხვა შესაძლო ვარიანტის გამოძებნამდე.

განიხილეს საკრებულოს წევრ ლ.მგელაძის ინიციატივა -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქ.ოზურგეთში თეატრის უკან მდებარე სკვერისთვის ან კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩის ნაწილისთვის არსენ კეჭაყმაძის სახელის მინიჭების თაობაზე და შეთანხმდნენ არსენ კეჭაყმაძის სახელი უმჯობესია ეწოდოს თეატრის უკან მდებარე სკვერს.

იმსჯელეს საკრებულოს წევრ რ. სკამკოჩაიშვილის ინიციატივაზე- სოფელ დვაბზუს ცენტრალური ერთ-ერთი უსახელო ქუჩისთვის ალექსანდრე ღლონტის სახელის მინიჭების თაობაზე და მას მხარი დაუჭირეს.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დაბა ურეკში მდებარე ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩისათვის სახელის გადარქმევისა და ნიკა ქარცივაძის სახელის მინიჭების თაობაზე საკრებულოს წევრ გ.მდინარაძის ინიციატივის განხილვა შეჩერდეს სხვა შესაძლო ვარიანტის გამოძებნამდე, საკრებულოს წევრების ლ.მგელაძისა და რ. სკამკოჩაიშვილის ინიციატივის თაობაზე მასალები გადაეგზავნოს სამთავრობო კომისიას.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ-ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

ლავრენტი ბიგვავა

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი